


საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საძმომი, ბედობიც ბეჭდუდნი სიფყვას, ტყუილებით და ჭებებით ბუბთის გატანა ყველა უჯარბისბაზე უსაბაგლესია.

პარასკევი, 11 ნოემბერი. 2016 წ. №211 (8103), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ახალი თავსატეხი ⑥

აშშ-ის პრეზიდენტი სწორედ ის გახდა, ვინც კუბინს უნდოდა!

როსტომ ჩხიკვაძე:

ვინაობის განანიჭება: კვილად და ახლა

⑤ სოსხლადვე რატომ ვიპარხავთ თავს?!

შესაძლოა, საქართველომ ამერიკის მეტი ყურადღება დაიმსახუროს

③

მოეფარეთ ლავროვს და რუსებს, ქართველებო!

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო თანამემამულეებს იმ რისკების შესახებ აფრთხილებს, რომლებიც, ლავროვის უწყების მტკიცებით, მათ საქართველოში ექმნებათ. „იმის გამო, რომ რუსეთ-საქართველოს შორის 2008 წელს შეწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობა ჯერ არ აღდგენილა, რუსეთის მოქალაქეების სამართლებრივი დაცვა ქვეყანაში შეზღუდულია. საქართველოში ამ დრომდე მოქმედებს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, რომლის საფუძველზეც გასულ წელს რუსეთის სამი მოქალაქე დააკავეს, იყო რუსეთის მოქალაქეების დევნის ფაქტებიც,“ – ნათქვამია ლავროვის უწყების განცხადებაში. რუსეთის ტურიზმის სააგენტო კი ტურისტულ ოპერატორებს მოუწოდებს, ტურისტებს საქართველოში არსებულ რისკებზე მაქსიმალური ინფორმაცია მიანიჭონ.

© მოულოდნელი რაკურსით

ამერიკა „პენსიაზე“ გაუზვეს და დემოკრატიას დაეთავსრდა!

②

რას ვზეივობთ და რისი უნდა გვეუინოდეს?!

④

ანონსი

„წიგნი ნათლის მხედრისა“

სვალიდან, შაბათის ნომრიდან, ჩვენი გაზეთი მკითხველს გააცნობს მსოფლიოში ცნობილი ბრაზილიელი მწერლის **პაულო კოელიოს** კიდევ ერთ საუკეთესო ნაწარმოებს „წიგნი ნათლის მხედრისა“, რომელიც ადამიანის მაღალ ზნეობაზე მოგვითხრობს. მაშ ასე, სვალიდან ჩვენი გაზეთის სტუმარია **პაულო კოელიოს** ახალი შედეგრი... ქართულად გადმოყენებული ბურამ ბოგიაშვილის მიერ

პაულო კოელიო

პროპაგანდა მარჯვლად თანამდებობიდან გაათავისუფლა

უკრაინის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილის ოდესის ოლქის გუბერნატორის პოსტიდან გათავისუფლების ბრძანებას მოაწერა ხელი. პეტრო პოროშენკომ სააკაშვილი ასევე პრეზიდენტის უშტატო მრჩეველის თანამდებობიდანაც მოხსნა. შესაბამისი ინფორმაცია უკრაინის პრეზიდენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა.

უკრაინული მედიის ცნობით, ოდესის ოლქის გუბერნატორის უფლებამოსილებას დროებით მიხეილ სააკაშვილის მოადგილე სოლომია ბობროვსკაია შეასრულებს.



ნაცვლის მონასტარი პირია...

ოქტომბრის ყოფილი გუბერნატორის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, თეორიულად შესაძლებელია, უკრაინის ხელისუფლებამ საქართველოში გააძევოს ამის შესახებ სააკაშვილმა უკრაინულ ტელეკომპანია მე-7 არხზე თქვა. მან აღნიშნა, რომ ამის შესახებ კითხვა უკრაინის ხელისუფლებამ დაუსვეს.

„კი, თეორიულად შესაძლებელია, უკრაინის ხელისუფლებამ საქართველოში გააძევოს. უბრალოდ, უსუსტად ვ დღეში ხალხი გამოიშვება ციხიდან და იქიდან ერთ დღეში მე ისევ კიევში ვიქნები, ამიტომ ეს ძალიან ცუდი პერსპექტივა იქნება მათთვის, ვინც გადამწყვეტს, რომ აქედან გამიშვან. ასეთი რამეების არ მემშინია. როცა მართალი ხარ, მართალი ხარ. როცა მე ვიცი, რომ მართალი ვარ, დავამტკიცებ ჩემ სიმართლეს. სულ ესაა“, — ამბობს სააკაშვილი.

„ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ნაციონალური მოძრაობის ხელმძღვანელობაში მყოფ ერთ-ერთ ასირებული პერსონაჟთან საერთო არაფერი მინდა მქონდეს“, — ამის შესახებ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა „ფისბუქზე“ განცხადებულ ვიდეომიმართვაში განაცხადა. ყოფილი პრეზიდენტი კონკრეტულ სახელებს და გვარებს არ ასახელებს, თუმცა პარტიის შიდა დაპირისპირებასა და ბევრ შეცდომას ნაციონალური მოძრაობის ხელმძღვანელობაში მყოფ რამდენიმე პირს უკავშირებს. მისივე შეფასებით, არჩევნების მეორე ტურში პარტიის მონაწილეობა შეცდომა იყო, რადგანაც ამან კიდევ უფრო მეტი დემორალიზება და იმედგაცრუება გამოიწვია.

საკაშვილი დიდ შეცდომად მიიჩნევს იმასაც, რომ პარტიამ „ხელეჩი დაუშვა“ იმის მაგივრად, რომ ხალხი დაერაზმა და ბრძოლისა და შეურიგებლობისაკენ მოეწოდებინა.

© კაცი იმედით ცოცხლობს.

ევროპელი ლიდერები ამერიკის პრეზიდენტის პოსტზე დონალ ტრამპის მოსვლას „გაუარსებლობის პერიოდის“ დასაწყისად აღსაქვან, ქართველი პოლიტიკოსები კი, საქართველოსთან მიმართებაში ამერიკის პოლიტიკის შეცვლას არ ელოდებიან და პირიქით, ქვეყნებს შორის ურთიერთობის შესაძლო გაღრმავებაზე აქცენტს აკეთებენ.

საქართველოს ხელისუფლება ამერიკაში განვითარებული პროცესების შეფასებისას ხაზს ქვეყნის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას უსვამს და ფიქრობს, რომ ქართულ მხარეს ამერიკის ახალ აღმინისტრაციასთან ახალი ურთიერთობის დანერგვისთვის შესაბამისი დრო აქვს, თუმცა, მთავრობას პოზიციების გამყარებისთვის აქტიური მუშაობა მოუწევს.

როგორც for.ge-ს უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა **ზვიად კვაჭანტირაძე** განუცხადა, ამერიკელმა ხალხმა არჩევანი გააკეთა, რომელსაც ყველა პატივი უნდა სცეს. საქართველოსთვის მთავარი და ამოსავალი წერტილია ის, რომ ამერიკა ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორია და 25 წლის განმავლობაში, ქართული მხარე მასთან ურთიერთობას წარმართავს.

„ეს ისაა, რითაც ამერიკასთან ურთიერთობაში უნდა ვიხელმძღვანელოთ მიუხედავად იმისა, ამერიკის პრეზიდენტი ვინ იქნება. ამერიკის მხრიდან ორპარტიული მხარდაჭერა ყოველთვის გვექონდა, როგორც დემოკრატიების, ასევე რესპუბლიკელების. მჯერა, რომ საქართველო ამერიკასთან ურთიერთობას არაფერ შეინარჩუნებს, არამედ კიდევ უფრო მეტ საშუალებას გამოიძენს, რომ თანამშრომლობა გაღრმავდეს. ძალიან ბევრი ჩვენს აქტიურობაზე იქნება დამოკიდებული. ჩვენ მაქსიმალურად მოვილიზებულები უნდა ვიყოთ, რომ ამერიკის ახალი ადმინისტრაციის მხრიდან რეგიონის და საქართველოს მიმართ ყურადღება არ მოვაღწეოთ. ძალიან დიდხანს არ დავიშურებთ, რომ ეს სამუშაოები წარვმართოთ“, — აცხადებს კვაჭანტირაძე.

საკითხზე საუბრისას ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **გივი ვოლსკი** ყურადღებას რეგიონის მნიშვნელობასა და ამ ქრილში საქართველოს პოზიტივებზე აკეთებს. for.ge-სთან საუბარში ვოლსკი აცხადებს, რომ მნიშვნელოვანია ის, საქართველო გეოპოლიტიკურ რუკაზე თუ რა ადგილს იკავებს — მსოფლიოსთვის საგანგებო მნიშვნელობა კასპიისა და შუა აზიის რეგიონებთან დამაკავშირებელ ხიდს აქვს, საქართველოს ასეთი ფუნქცია კი ის აქტი-

ვია, რაც დასავლეთს თავისი ხედვით გააჩნია.

„რასაკვირველია, ამერიკა და ევროპა სტრატეგიულ პოზიციებს არ დათმობენ, რასაც საქართველოსთან ურთიერთობა ჰქვია. მეორე საკითხია ის, თუ რას წარმოადგენს რეგიონი. რუსეთის პოზიცია ურთულესია, თურქეთი გარკვეული სახეცვლილებით წარმოგვიდგა, ირანთან ურთიერთობა მსოფლიომ შეცვალა და



შესაძლოა, საქართველო ამერიკის მეტი ყურადღება დაიმსახუროს

საქართველო მსოფლიო პოლიტიკაში საგანგებო როლს შეინარჩუნებს და ადამიანი ძალიან სუსტი უნდა იყოს, რომ ეს მნიშვნელობა ვერ დაინახოს, ტრამპი კი ამათ რიცხვს არ მიეკუთვნება.

შუაში საქართველოა, როგორც მყარი და სტაბილური მოკავშირე დასავლეთის. ამ პოზიციების დათმობა არც ამერიკის და არც ევროკავშირის ინტერესებში არ შედის“, — აღნიშნავს ვოლსკი.

კანონმდებელი მსოფლიო პოლიტიკის ქრილში საქართველოს ინტერესებზე აქცენტს აკეთებს და ამბობს, რომ საქართველოს მთავრობის პრაგმატული პოლიტიკა სწორედ ისაა, რაც მსოფლიოს დღეს სჭირდება.

„საქართველოს რა ინტერესებს? — პრაქტიკულად, ევროკავშირის წევრები ვართ, თუნდაც ასოცირებული. ამერიკისთვის საიმედო მოკავშირე ვართ არა მარტო რეგიონში, არამედ ცხელ წერტილებში, სადაც ანტიტერორისტული, სამშვიდობო ღონისძიებები მიმდინარეობს. ეს ყველაფერი რომ გააერთიანოთ, ეს ამერიკა-საქართველოს სტრატეგიულ ურთიერთობას საგანგებო მნიშვნელობას სძენს. ტრამპს გაცილებით უფრო სიღრმისეული ინფორმაცია ექნება და საგანგებო მნიშვნელობა აქვს იმ ინსტიტუტებსაც, რომლებმაც ამერიკა მსოფლიოს ნომერ პირველ ქვეყნად წარმოაჩინეს და დამკვიდრეს. საქართველო მსოფლიო პოლიტიკაში საგანგებო როლს შეინარჩუნებს და ადამიანი ძალიან სუსტი უნდა იყოს, რომ ეს მნიშვნელობა ვერ დაინახოს, ტრამპი კი ამ რიცხვს არ მიეკუთვნება“, — ამბობს დეპუტატი.

მმართველი გუნდის მსგავსად, მთავალი ოთხი წლის განმავლობაში, ამერიკისგან საქართველოს მიმართ საფრთხეების შექმნის წინაპირობას ვერ ხედავს ოპოზიცია.

როგორც for.ge-ს პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე

მარე **ლევან ბარკინიშვილი** განუცხადა, საქართველოსთვის როგორც სტრატეგიული პარტნიორისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამერიკაში ხალხმა საკუთარი არჩევანი გააკეთა, რომელსაც ყველა შემთხვევაში, ქვეყანამ პატივი უნდა სცეს.

„ჩვენი ქვეყნისთვის რაიმე განსაკუთრებულ საფრთხეს ვერ ვხედავ. რაც შეეხება ამერიკულ პრობლემებს, დიას, ტრამპი მკვეთრია და მან შესაძლოა, მკვეთრი ნაბიჯები გადადგას, მაგრამ ამერიკაში შემომწმობისა და ბალანსის ისეთი სისტემაა, რომელიც პრეზიდენტს არავინ მისცემს უფლებას, რომ კონსტიტუციის გზიდან გადაუხვიოს. საქართველოსგან განსხვავებით, ამერიკაში საკონსტიტუციო უმრავლესობა არასდროს არავინ არ ჰქონია. შესაბამისად, ამ ტიპის ცვლილებები ვერ მოხდება. მოვლენებს მშვიდად ველოდები და წინასწარჩვენო საუბრები რე-

ლურად ვერ გვაჩვენებს, ამერიკის მომავალი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი რა კაცი იქნება. დრო დადგება და მას საქმეში დავინახავთ, რადგან ისეთი დრო მახსოვს, როცა პროგნოზები გაკეთებულა და შემდეგ ეს ასე არ მომხდარა. როგორც წესი, შემომწმობისა და ბალანსის სისტემა პროცესს კალაპოტში აქცევს“, — აღნიშნავს დეპუტატი.

ბერძენიშვილი კალიფორნიის შტატის განცხადებასაც ეხმაურება, რომელმაც, მედიის ცნობით, ამერიკისგან გამოყოფა მოითხოვა.

„ამერიკის კონსტიტუცია და პროცესები სრულიად გამორიცხავს იმას, რაც მედიაში დაინერა. კალიფორნიაში ასეთი ხალხი ყოველთვის იყო, ისევე როგორც ჩრდილოეთ იტალიაში, რომელიც ასეთ აზრებს ამბობს, მაგრამ ეს დიდი ბრიტანეთით აწყობილი ქვეყანა არ არის, სადაც რეფერენდუმს ჩაატარებენ. ტრამპის პრეზიდენტობის დროს ეს ვერასოდეს ვერ მოხდება“, — დასძენს ბერძენიშვილი.

რესპუბლიკელის მსგავსად, ნაციონალი **გივი წარბაქაძე** ამერიკის ერთიან, მწყობრ სახელმწიფო სისტემაზე აპელირებს და ამბობს, რომ კანდიდატი ტრამპი ერთი და პრეზიდენტი ტრამპი კი, მეორე იქნება — თუკი საარჩევნო კამპანიის დროს კონტრვერსიული განცხადებები იყო, ალბათ, მოსალოდნელი არ არის, რომ ის იქნება იმ პოლიტიკის მთავარი ქვაკუთხედი, რომელსაც ამერიკის ადმინისტრაცია განახორციელებს.

წერეთლის მოსაზრებით, ტრამპი ჩვეულებრივი პრეზიდენტი არ არის და ის მანამდე პოლიტიკურ თანამდებობებზე არ ყოფილა, მაგრამ მის ირგვლივ საინტერესო გუნდი აუცილებლად შეიკრიბება, რომელიც იმ პოლიტიკას გაატარებს, რაც მთელ მსოფლიოში მშვიდობას ემსახურება.

„რაც შეეხება საქართველოსთან ურთიერთობას, ამერიკაში ინსტიტუტების სახით ძლიერი და სოლიდური საფუძველია შექმნილი, რომ ყველაფერი ერთ ადამიანზე არ იყოს დამოკიდებული, თუნდაც, მას განსაკუთრებული მოსაზრებები ჰქონდეს. სტრატეგიული ამოცანები და პრიორიტეტები არსებობს და დაწმუხუნებული ვარ, რომ ტრამპი ძირითად პოლიტიკურ ხაზს გააყვება, თუმცა ის კონკრეტული ადამიანია“, — აცხადებს წერეთელი.

დეპუტატი საქართველოსთან მიმართებაში ამერიკის მხრიდან რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებების გატარებას ვერ ხედავს.

თიონა მანაგაძე

ქუჩაში პროცესების გადატანა პრაფერ კარბს არ მოუტანდა ქვეყანას

„ნაციონალური მოძრაობის“ საერთაშორისო ურთიერთობათა მდივანი გიგა ბოკერია მიხეილ სააკაშვილის განცხადებას ეხმიანება და აცხადებს, რომ პარლამენტში შესვლის გადაწყვეტილება იყო სწორი.

„მე კარგად მესმის ჩემი ზოგიერთი თანაგუნდელის, ლიდერის, თუ მხარდამჭერის ემოცია და გაღიზიანება, კი, მაგრამ ვრჩები ჩემს ძალიან მყარ აზრზე, რომ მიუხედავად ძალადობრივი და არათავისუფალი არჩევნებისა, ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო მეორე ტურებში ბრძოლა და პარლამენტში შესვლა ამ ისტორიულ მომენტში“, — განაცხადა ბოკერია.

მისივე თქმით, ქუჩაში პროცესების გადატანა არაფერ კარგს არ მოუტანდა ქვეყანას.


„ეს იყო სწორი გადაწყვეტილება ჩვენი ქვეყნის, ჩვენი პარტიის ინტერესებისთვის და საბოლოო ჯამში, ივანიშვილის რეჟიმის დემოკრატიულად დამარცხების საქმისთვის. სწორედ ასევე მჯერა, რომ ქუჩაში პროცესების გადატანა, ამ ძალადობის მიუხედავად, იქნებოდა უკეთეს შემთხვევაში ორთქლის გამოშვება და არაფერ კარგს არ მოუტანდა არც ქვეყანას ამ კონკრეტულ მომენტში, არც პარტიას და არც ივანიშვილის რეჟიმის დამარცხების საქმეს“, — განაცხადა გიგა ბოკერია.



კალოსნობა

ოლიმპიური ჩემპიონის გამოვა

11-13 ნოემბერს საჩხერეში ძალისხმობაში საქართველოს ჩემპიონატი ჩატარდება. ტურნირში, რომელიც ტრადიციულად წარმომადგენლობითი და ყოველთვის საინ-



ტერესოა, წელს მონაწილეობას ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოს რეკორდსმენი ლაშა ტალახაძე და ასევე ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონი ბიორბი ჩხიძე მიიღებენ. ეროვნული ჩემპიონატი ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელებს ნიჭიერი სპორტსმენების გამოვლენაში დაეხმარება.

საქართველოს ჩემპიონატში წელს მონაწილეობას 80 სპორტსმენზე მეტი მიიღებს სხვადასხვა რეგიონიდან 8 წონით კატეგორიაში. კონკურსის გარეშე ტურნირში ჩაერთვება ქუვეითის ნაკრებიც, რომელმაც შეკრება ბაზალეთზე გაიარა.

ასპარეზობა დღეს 12 საათზე დაიწყება.

კობა კობახიძე

ფეხბურთი

საზონის გოლო აკორდის წინ



საძარტმელოს ეროვნული ნაკრები წლის ბოლო ოფიციალური მატჩისთვის მზადებას 23-კაციანი შემადგენლობით აგრძელებს. ვლადიმერ ვაისის გუნდმა მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის ცენტრალურ მოედანზე ივარჯიშა, ხოლო მოგვიანებით საქართველოს ნაკრებმა ორმხრივი თამაში გამართა.

უკვე ცნობილია საქართველოსა და მოლდოვას ნაკრებთა ოფიციალური განრიგი:

11 ნოემბერი, პარასკევი
16:00 საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პრესკონფერენცია - სასტუმრო „ჭუალინგი“
16:30 საქართველოს ნაკრების ვარჯიშ-

ში - ს.კ. „ზესტაფონის“ სავარჯიშო მოედანი, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორია (გადაღება დაშვებულია მხოლოდ 15 წუთით).

18:30 მოლდოვას ნაკრების მთავარი მწვრთნელის პრესკონფერენცია. „დინამო არენა“ მედია ცენტრი.

19:00 მოლდოვას ნაკრების ვარჯიში - „დინამო არენა“ (გადაღება დაშვებულია მხოლოდ 15 წუთით).

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩი საქართველოსა და მოლდოვას ეროვნულ ნაკრებებს შორის 12 ნოემბერს 21 საათზე „დინამო არენაზე“ გაიმართება.
ბიორბი შოთაძე

ინტერნეტიდან

მოუსვენარი ლუსიანა ესკოუტი

ყვანვილქალაქში ფრენბურთელი, ახლა კი ცნობილი და სახელგაყარდნილი ბრაზილიელი მოდელი ლუსიანა ესკოუტი აგერ უკვე ხუთ წელზე მეტია მსახიობობითა დააკავებული და მის მიერ ნათამაშები სერიალის გმირებით მთლად ჰოლივუდი თუ ვერა, დიასახლისები ალბათ ნამდვილად არიან მოხიბლულნი.

მას შემდეგ, რაც ლუსიანამ ფრენბურთის ბურთი მოდელის ხელობაზე გაცვალა, მისი ცხოვრება ძალიან შეიცვალა. ესკოუტის ქალს აღარ უწევს დამლელი ვარჯიშების მძლავრი სხეულით გადატანა და მწვრთნელის შეგონებების მოსმენა. ჩვენს გარშემო ხომ არიან ადამიანები, რომელთაც მწვრთნელი და წვრთნის პროცესი რატომღაც ბედის მიერ მოვლენილი სატანჯველი ჰგონიათ.

მაგრამ ერთი ისაა, რომ საბოლოოდ სიამე და შვება ლუსიანა ესკოუტმა მაინც ვერა და ვერ ჰპოვა. ამის მიზეზი ამ ქალის ცეცხლოვანი ხასიათი და ვნებიანი ბუნებაა. საყვარელმრავლობასაც რომ თავი დავანებოთ, ლუსიანა გამუდმებით ახლის ძიებაშია და მისი ეს ნოვატორობა ცოტა დამლელი და გულშემადონებელია.
როსტომ რაჭველიშვილი



ხელბურთი



სომხეთის დიდი სპარობით

ძუთანიის სპორტის სასახლეში მიმდინარე IHF თასზე ხელბურთში საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა მეორე დღეს დაამარცხა სომხეთი 47:8 და ჯგუფში პირველი ადგილისთვის ბრიტანეთს ეთამაშება. ბრიტანელებმა მოუგეს ალბანეთს, ხოლო მეორე ჯგუფში მოლდოვამ დაამარცხა მალტა.

საქართველოს ნაკრებმა მაქსიმალური კონცენტრაციით ითამაშა, 11:0 დანინაურ-

და და მეტოქეს პირველ ტაიმში სულ ორი გოლი გაატანა - 2:2. მინიმუმ 3 ბურთი ყველამ გაიტანა, სამ კაცს კი არ უთამაშია - სიცხიანი ცხოვრებაზე და მიქავა მწვრთნელებმა სასტუმროში დატოვეს, არსენაშვილი კი მოედანზე არ გასულა.

დიდმა ბრიტანეთმა 47:12 მოუგო ალბანეთს. 10 გოლი გაიტანა გამთამაშებელმა ქრის უაითმა, ხოლო ალბანელთაგან 6 შეაგდო კლევის დედამ. B ჯგუფში მოლდოვამ 48:15 მოუგო მალტას და ჯგუფური ტურნირი 3 ქულით დაასრულა. თუ მესამე დღეს კოსოვო მეტი სხვაობით დაამარცხებს მალტელებს, ჯგუფში პირველ ადგილზეც ის გავა. ნახევარფინალებში 2-2 გუნდი გადის.

A ჯგუფი: საქართველო 4 (+84), ბრიტანეთი 4 (+54), სომხეთი 0 (-58), ალბანეთი 0 (-80)

ვიტალი ჯაფარიძე

ჩოგბურთი

იღბლიანი დღე

მინსკში ჩოგბურთელ ქალთა 25.000-იანი საერთაშორისო ტურნირის ერთეულთა სტარტზე თბილისელმა ეკატერინე გორგოძემ მართალია მასპინძელ კატიარინა პაულენკასთან დაძაბულ ბრძოლაში ნააგო შეხვედრა - 6:7, 6:7. მაგრამ წვეილებში ბელარუს სვიატლანა პირაჟენკასთან ერთად ქსენია ბეკერსა (რუსეთი) და კარინ კენელს (შვეიცარია) სძლია - 2:6, 6:4, 10:4 და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც მე-4 ნომერ მასპინძლებს - ილონა კრემენსა და ვერა ლაპკოს ტანდემს გაუწევს მეტოქეობას.

18 წლის მარიამ ბოლქვაძე ინგლისურ 10.000-იან ტურნირში მონაწილეობს. მეორე ნომრად განთესილმა ჩვენებურმა პირველ წრეში მოლი კრაუჩი (დიდი ბრიტანეთი) დაჯაბნა - 6:4, 6:1. ბოლქვაძე მეორედფინალში ფრანგ ემანუელა სალასს შეხვდება, რომელმაც სტარტზე ლილი გოდ-

რატს (დიდი ბრიტანეთი) აჯობა - 6:0, 6:2.

შარმ ელ შეიხის (ეგვიპტე) ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) გიორგი ცივაძემ ერთეულში უკრაინელ ოლეგ ხოტკოვს მოუგო - 4:6, 6:2, 6:2. მეორედფინალში იგი ისამ ჰაითან თაველსა (ეგვიპტე) და რომან საფიულინს (შვეიცარია) შორის გამარჯვებულთან გაარკვევს ურთიერთობას.

წვეილებში ცივაძესა და ინდოელ შაჰ ბააზ ხანს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს უკრაინელებმა - ოლეგ პრიხოდკომ და ოლეგსეი პროკოპჩუკმა, ორთაბრძოლა ორ სეტში 3:6, 1:6 ნააგეს და მაყურებლებში გადაინაცვლეს. ცივაძე და ხანი მეოთხედფინალში ისევ უკრაინელებს - ოლეგსანდრ ბულინიკისა და ოლეგ კოვალს შეხვდებიან.

რამაზ წითელაძე



ბიორბი შოთაძე

რეაქცია

საპი მარტინესის აზრით

მიუნხენის „ბაიერნისა“ და ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველი ხავი მარტინესი ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებს გამოეხმაურა.

„დასრულდა ჩემი სამომავლო ოცნება MLS-ში თამაშთან დაკავშირებით? “ - ირონიულად დაპოსტა სოციალურ ქსელ Twitter-ში ბასკმა მოთამაშემ.

შეგახსენებთ, რომ აშშ-ში გამართულ არჩევნებში რესპუბლიკელმა დონალდ ტრამპმა დემოკრატი ჰილარი კლინტონი დაამარცხა და ქვეყნის 45-ე პრეზიდენტი გახდა.

ზადრი იაშვილი



ლონდონში ტრამვაი გადაკრუნდა რუბრათოს ორი სკოარი შემატა

7 ადამიანი დაიღუპა და ათობით დაშავდა ლონდონში მომხდარი ინციდენტის შედეგად. ქალაქის გარეუბანში რელსებიდან ტრამვაი გადავიდა. სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანებით ადგილობრივ კლინიკებში 50-მდე ადამიანი გადაიყვანეს. რამდენიმეს მდგომარეობა კრიტიკულია. პოლიციამ ტრამვაის მძღოლი უკვე დააპატიმრა. მას სავარაუდოდ საჭეტან ჩაეძინა.



თბილისის მერმა დავით ნარმანიამ ჩუღურეთის გამგებელთან ზურაბ ჩიკვილაძესთან ერთად ჩუღურეთის რაიონში ორი ახალი სკვერი გახსნა. სკვერები იმ ტერიტორიაზე მოეწყო, სადაც წლების განმავლობაში ნაგავი უნებართვოდ იყრებოდა. სამუშაოები ჩუღურეთის რაიონის გამგეობამ განახორციელა.

„ჩუღურეთში ინტენსიურად ვმუშაობთ პარკების მოწყობის და გამწვანების კუთხით. 3000-ზე მეტი ნერგი ირგვება ჩუღურეთის რაიონში ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში. ნერგები ასევე გადაეცემა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებს, რათა საერთო სარგებლობის ეზოები გამწვანდეს“, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

პროექტის ფარგლებში დამონტაჟდა ბორდიურები და დეკორატიული ფილები, დაიდგა საპარკო სკამები და ურნები. პატარებისთვის კი დაიდგა სათამაშო ატრაქციონი კაუჩუკის რბილი იატაკით. ახლად გახსნილ სკვერებში გამწვანების აქციაც გაიმართა. დავით ნარმანიამ და ზურაბ ჩიკვილაძემ ორივე მისამართზე ფიჭვის ხეები დარგეს. ჩუღურეთის რაიონს, მიმდინარე წელს, 6 ახალი სკვერი შეემატა, არსებულ 30 სკვერს კი აღდგენა-რეაბილიტაცია ჩაუტარდა.

ბრედ პიტს უღანაულოდ სნეს



ბრედ პიტის წინააღმდეგ ბავშვებზე ძალადობის მუხლით დაწყებული გამოძიება შეწყდა.

სოციალურმა სამსახურმა პოლიციის ვარსკვლავი უღანაულოდ ცნო. ამერიკული ტაბლოიდების ინფორმაციით, ანჯელინა ჯოლიმ მეუღლესთან დაშორება იმ მოტივით გადაწყვიტა, რომ თვითმფრინავში ბრედი შვილებს ფიზიკურად გაუსწორდა. ცემის ფაქტი არ დადასტურდა. ვარსკვლავური წყვილი ერთმანეთს სექტემბერში დაშორდნენ. ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შვილები დედასთან იცხოვრებენ, მამას კი მეურვეობის თანაბარ უფლებასთან ერთად მათი მონახულების შესაძლებლობა ექნება.

მთქნარების რეიზინგი

რაც უფრო კარგადაა განვითარებული ცხოველის ტვინი, მით უფრო დიდ ხანს... ამთქნარებს იგი, – ასეთია ნიუ-იორკის უნივერსიტეტის მეცნიერთა დასკვნა.



მათ უამრავი ვიდეორგოლი გააანალიზეს, რომლებზეც მრავალი ძუძუმწოვარა ცხოველი – სპილოები, ცხენები, კატები, ზღარბები, მელიები, ძაღლები

და ა. შ. – მთქნარების დროსაა გადაღებული.

ყველაზე ხანმოკლე მთქნარება აქვთ თაგვებს (0,8 წამი), ყველაზე ხანგრძლივი – ადამიანს (6,5 წამი). „მთქნარების რეიტინგში“ მეორე ადგილზე არიან აქლემები, მესამეზე – ძაღლები. ტანით უფრო დიდი ცხოველები, მაგალითად, სპილოები ან ბეჰემოტები, ადამიანზე უფრო სწრაფად ამთქნარებენ. მაშასადამე, ძუძუმწოვრის ტანის ან თავის ზომა, ანდა მისი ყბების ანატომია, მთქნარების ხანგრძლივობაზე არ მოქმედებს.

ეს კომპონენტი დამოკიდებულია ტვინის მასასა და მის ქერქში ნეირონების ოდენობაზე. მაშასადამე გამოდის, რომ მთქნარების ხანგრძლივობის მიხედვით შესაძლებელია ძუძუმწოვარა ცხოველის (მათ შორის, ცხადა, ადამიანის) თავის ტვინის ზომისა და მისი განვითარების დონის შეფასება.

პირველად საქართველოში

სსმპდსსმპ ტაქსის კომპანიებში დასაქმებული მძღოლები საკუთარი უფლებების დაცვისთვის ერთიანდებიან. საქართველოს ტრანსპორტის პროფკავშირების ინფორმაციით, ერთ-ერთი ყველაზე დაუცველი სფეროს წარმომადგენლები წლებია, კანონმდებლობის შეცვლის მოლოდინში არიან. მათი ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა სწორედ რეგულაციების დროული დაწესება იქნება.



ტაქსის მძღოლები, ტრანსპორტის პროფკავშირის ორგანიზებით, ხვალ, 11 ნოემბერს, 12:00 საათზე, იპოდრომის ცენტრალურ შესასვლელთან შეიკრიბებიან და პროფკავშირის დაფუძნების და სფეროში არსებული პრობლემების შესახებ სპეციალურ განცხადებას გააკეთებენ.

ანაკლოტაუი

მამაკაცური ღირსება ის კი არ არის, რასაც კაცი შარვალში დაატარებს, არამედ ის, რაც ავტოფარეხში უდგას, ხოლო ის, რასაც მამაკაცი შარვლით დაათრევს – ეს მისი ცოლის ბედნიერებაა.

აი, მაგალითად, ჩემი და მამაკაცზეა გათხოვილი!

– ბიჭო, ბიკენტი, მოდი და ამ შაბათ-კვირას ტყეში წავიდეთ, კარავი გავშალოთ და ცხოვერების ჯანსაღი წესით ვიცხოვროთ! – აუჰ, ჯიგარი ხარ, რა კაი რამე მოგიფიქრია! ოცი ლარიდან კაი ღვინოს და ჩასაბასტურმებელ ხუთ კილო ხორცს მე წამევიღებ, დანარჩენი შენ იცი!

– იცი, ექიმო, საქმლის მონელების გასაუმჯობესებლად ლუდს ვსვამ, – ყვება პაციენტი. – როცა უმადობა მჭირს, მაშინ თეთრ ღვინოს გეახლებით, დაბალი წნევის დროს ნითელ ღვინოს

მიღებაზე ფსიქიატრთან:
მძიმე: – დაოჯახებული ხართ?
პაციენტი: – დიახ, ექიმო, ქალზე.
მძიმე: – რა გახუმრებთ, ბატონო! ეს ხომ სავესებით ბუნებრივია!
პაციენტი: – რას ამბობთ, ექიმო! როგორ გეკადრებათ!



მივითმევ, მაღალი წნევის დროს კი კონიაკს ვურტყამ, მაგრამ ყელის ტვივილის დროს ჭაჭის არაყს მაინც არაფერი სჯობს!
– კი, მაგრამ, უბრალო წყალს როდისღა სვამთ?
– სამაგისო ავადმყოფობა ამ ხნის კაცს ჯერ არასდროს მქონია!

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

იხილვებ დიდი დილის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდ მეტრში მდებარე მინის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი – შეთანხმებით. ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

იხილვებ უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მინის ნაკვეთი. ფასი – შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS REPUBLIKA
სულხან-საბას ძ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულაძე
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გომიაშვილი
599 53-76-16;
ალექო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაქიძე
514 33-33-24

გამომცემელი:
შპს „თანადგომა“-1 გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთილი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ უნი გაზეთი, აუცილებლად გამოიწერა, იყიდა, წაიკითხა!

<p>საქართველოს რესპუბლიკის საგარეო უწყისი საგარეო უწყისი საგარეო უწყისი</p>	<p>უხსოვარი პალატის კარსი: საგარეო უწყისი - 2.4462; პარკი - 2.7031; ბრიტანული მიკრორაიონი სტარლინი - 3.0370; 100 რუბლი - 3.8374; ოქრუბლი ლიბა - 0.7711; საპარკო-საგარეო უწყისი - 1.4402; 1000 სოფელი ღრამი - 5.0915.</p>	<p>აივანი 11 ნოემბრისთვის საგარეო უწყისი პარკი - ღამა +4, ღამა +21 პირველი რაიონი - ღამა +1, ღამა +17 საგარეო უწყისი პარკი - ღამა +12, ღამა +28 პირველი რაიონი - ღამა +5, ღამა +25 თბილისი - ღამა +7, ღამა +18</p>	<p>დაგვიკავით, მოგვწერეთ: ტელ: 293-13-34, 599-79-76-79 WWW.SAKRESP.GE</p>
--	---	---	---